დანართი 17

დამტკიცება: შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მმართველი საბჭოს
დადგენილება #03, 10/01/2024

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამედიცინო პუნქტის
დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თბილისი
2024

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-ს (შემდგომში – უნივერსიტეტი) ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულის - სამედიცინო პუნქტის საქმიანობის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, ფუნქცია-მოვალეობებს, უფლებამოსილებებს, მართვის ორგანიზაციასა და სტრუქტურას;
1.2 სამედიცინო პუნქტი ხელმძღვანელობს, საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის დებულების, ამ დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.
1.3 სამედიცინო პუნქტი ექვემდებარება შესყიდვებისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია მის წინაშე.

მუხლი 2. სამედიცინო ფუნქციები
1. სამედიცინო პუნქტის ფუნქციებია:
ა) ახდენს დაავადებათა პრევენციის, მათი გავრცელების შესწავლისა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებისათვის შესაბამისი რეკომენდაციების მოძიებასა და უნივერსიტეტში გავრცელებას;
ბ) უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის ხარისხიანი, უსაფრთხო და უფასო სამედიცინო გადაუდებელი/გეგმური მომსახურების მიწოდებას;
გ) საქმიანობის წარმართვისას, ხელმძღვანელობს პროფესიული სტანდარტებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებით.

მუხლი 3. სამედიცინო პუნქტის სტრუქტურა და მართვა
1. სამედიცინო პუნქტის შემადგენლობაში შედის:
ა) ექიმი;
2. სამედიცინო პუნქტის თანამშრომელს უნივერსიტეტში დადგენილი წესის შესაბამისად, ფინანსურ დარგში პრორექტორის წარდგინებით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. სამედიცინო პუნქტში თანამშრომლის მიღებისას, თანამშრომელთათვის წარსადგენ დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, აუცილებლობის შემთხვევაში, განსაზღვრავს რექტორი.

მუხლი 4. სამედიცინო პუნქტის ხელმძღვანელი და მისი ფუნქცია - მოვალეობები.
4.1. სამედიცინო პუნქტს ხელმძღვანელობს ექიმი;
4.2. ექიმის თანამდებობაზე მიიღება პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება სამედიცინო სფეროში.
4.3. ექიმის ფუნქცია-მოვალეობებია:
ა) ექიმი წარმოადგენს სამედიცინო პუნქტს, შიდა საუნივერსიტეტო და საგარეო ურთიერთობებში,
ბ) გეგმავს და წარმართავს პუნქტის საქმიანობას და პასუხისმგებელია მის ეფექტურ მუშაობაზე.
გ) ასრულებს ექიმის ფიცს;
დ) ქვეყანაში აღიარებული სამედიცინო სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით, აგრეთვე შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტუდენტთა და პერსონალის ჯანმრთელობის დაცვას;

ე) უზრუნველყოფს სამედიცინო საქმიანობის წარმართვას მხოლოდ პაციენტის ინტერესების შესაბამისად;
ვ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენისას, წერილობით ასახავს ინფორმაციას გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, სამედიცინო დოკუმენტაციაში შეაქვს შესაბამისი ჩანაწერები;
ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებს უნივერსიტეტში ეპიდემიოლოგიურ და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე კონტროლს;
თ) პერიოდულად წარუდგენს პრორექტორს სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ურთიერთობის დარგში, საჭირო მედიკამენტების, სამედიცინო - სახარჯი მასალებისა თუ სხვა სამედიცინო აღჭურვილობის ჩამონათვალს, პრორექტორისათვის ფინანსურ დარგში წარსადგენად, შესყიდვისთვის შესათანხმებლად;
ი) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იცავს პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე მის ხელთ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობას;
კ) მონაწილეობას იღებს უწყვეტი პროფესიული განვითარების პროგრამებში, თავისი პრაქტიკული საექიმო საქმიანობის თანამედროვე მედიცინის მიღწევებისადმი მისადაგებისა და გაუმჯობესების მიზნით;

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის მმართველი საბჭოს მიერ მიღებისთანავე; 2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად;
3. ცვლილებებს განიხილავს და ამტკიცებს უნივერსიტეტის მმართველი საბჭო.
4. სამსახურის დამატებითი ფუნქციები შესაძლებელია განისაზღვროს უნივერსიტეტის სხვა ნორმატიული დოკუმენტებით;
5. წინამდებარე დებულების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს პრორექტორი ფინანსურ დარგში.